დამტკიცებულია

წევრთა საერთო კრების
2021 წლის 15 დეკემბრის
გადაწყვეტილებით

„წყალტუბოს განვითარების ჯგუფი“

წესდება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

წყალტუბოს განვითარების ჯგუფი (ინგლისურად Local Action Group (LAG) Tskaltubo)

წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. წყალტუბოს განვითარების ჯგუფი - წყალტუბოს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (წინამდებარე წესდების მიზნებისთვის შემდგომში წოდებული როგორც ,,ორგანიზაცია") წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად (ინგლისურად Local Action Group (LAG) Tskaltubo)

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. ორგანიზაციის სახელწოდება: წყალტუბოს განვითარების ჯგუფი (ინგლისურად Local Action Group (LAG) Tskaltubo)

1.4. ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ა(ა)იპ. აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში (მათ შორის, სავალუტო), აქვს საკუთარი ბეჭედი, იურიდიული მისამართი, საკუთარი სიმბოლიკა-ლოგო და სხვა საჭირო ატრიბუტიკა

1.5. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი: წყალტუბო, დედა ენის ქ. N20/27

1.6.ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: lagtskaltubo@gmail.com

1.7.ორგანიზაცია თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა

შემოიფარგლება მისი ქონებით. ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე, მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ორგანიზაცია პასუხს არ აგებს საკუთარი წევრების, აგრეთვე, თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.8 ორგანიზაცია უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები, განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები; თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, დაამყაროს ურთიერთობები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სხვა იურიდიულ პირებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც; მიიღოს და გასცეს სხვადასხვა ფინანსური შემოსავლები - მათ შორის, გრანტები, ერთჯერადი დახმარებები, შემოწირულობები, საწევროები და სხვა, რაც კანონით არის ნებადართული; იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, განახორციელოს სხვა უფლებები, რაც განსაზღვრულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 2
მიზნები

2. ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები:
   - სოფლად განვითარების სახელმწიფო პოლიტიკისა და მექანიზმების მხარდაჭერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.
   - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოციალური-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის საფუძველზე.
   - დევნილების, ეკო-მიგრანტების, მაღალმთიან რეგიონში მაცხოვრებელი ადამიანების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ახალგაზრდების და ქალების განათლების, დასაქმების და განვითარების ხელშეწყობა.
   - სოციალური მეწარმეობისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.
   - საქველმოქმედო და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა

მუხლი 3
საქმიანობის ფორმები

3.1 წესდებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია:

- უზრუნველყოფს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლობას ორგანიზაციის როგორც წევრთა, ასევე, მმართველ ჯგუფში. წევრთა საერთო რაოდენობაში ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლები უნდა შეადგენდნენ 51% (პროცენტს)
- სექტორთშორისი თანამშრომლობისა და მოსახლეობის ჩართულობით შეიმუშავებს ადგილობრივი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის) განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას და ახდენს მისი განხორციელების მხარდამჭერ საქმიანობას;
- თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელ სტრუქტურებთან, ასევე, ყველა სექტორის წარმომადგენელ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან;
- ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის, ხასიათს;
- ახდენს ქონების დაგროვებას საქველმოქმედო, საგანმანათლებლო და სოციალური-ეკონომიკური პროექტების მხარდასაჭერად;
- ეწევა ყველა სხვა სახის საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

3.2 ორგანიზაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

3.3 ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის

ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 4
ორგანიზაციის დამფუძნებლები

4.1. ორგანიზაციის დამფუძნებელია:

თეონა ქობულაძე, პ/ნ 53001050067, წყალტუბო, დედა ენის ქ. N20/27, საქართველო, დაბადების თარიღი: 20.12.1990

4.2. ორგანიზაციის დამფუძნებლის უფლება-მოვალეობები:

4.2.1. ორგანიზაციის დამფუძნებელს უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეულ იქნას ორგანიზაციის მმართველ ჯგუფში ან აღმასრულებელ დირექტორად
- მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში
- მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ
- მიიღოს გადაწყვეტილება ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ, წესდების შესაბამისად
- წარმოადგინოს ორგანიზაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში

4.2.2. ორგანიზაციის დამფუძნებელი ვალდებულია:
მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის მმართველი პირებისა და ორგანოების საქმიანობასა და მიღებული გადაწყვეტილებების წესდებასთან და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობას. შეუსაბამობის შემთხვევაში, დააყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი წევრთა საერთო კრებაზე.

4.2.3. ორგანიზაციის დამფუძნებელი ერთპიროვნულად ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციას ორგანიზაციაში სხვა წევრთა მიღებამდე.

მუხლი 5
ორგანიზაციის მართვა

5.1. ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება.

5.2. წევრთა საერთო კრება იმართება მინიმუმ 1 (ერთი) წელიწადში ერთხელ და მოიწვევა მმართველი ჯგუფის ან აღმასრულებელი დირექტორის მიერ, სატელეფონო თუ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით.

5.3. წევრთა საერთო კრება:

5.3.1. ასახელებს კანდიდატებს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე, და ირჩევს ხმათა უმრავლესობით 4 (ოთხი) წლის ვადით;

5.3.2. ირჩევს მმართველ ჯგუფს მაქსიმუმ 1 (ერთი) წლის ვადით, რომელიც შედგება საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელ წევრთა მაქსიმალურად თანაბარი წარმომადგენლობით;

5.3.3. 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და ამტკიცებს წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა;

5.3.4 წევრთა საერთო კრება ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილ ცვლილებებს და დამატებებს წესდებაში, რომელიც ფორმდება შეხვედრის ოქმის სახით;

5.3.5. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ კი კრებაზე ესწრება რეგისტრირებულ წევრთა 30% (პროცენტი);

5.3.6. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით, წევრთა განსხვავებული აზრის დაფიქსირების აუცილებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 6
ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

6.1. ორგანიზაციას შეიძლება ჰყავდეს და ხელმძღვანელობა შეიძლება განხორციელდეს მმართველი ჯგუფისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ

6.2. ორგანიზაციის მმართველი ჯგუფი:
6.2.1. აირჩევა წევრთა საერთო კრების მიერ 1 (ერთი) წლის ვადით და შედგება მინიმუმ 1 (ერთი) და არაუმეტეს 6 (ექვსი) წევრისა თითოეული სექტორიდან (საჯარო,სამოქალაქო და ბიზნესი). ჯგუფის შემადგენლობაში ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს საჯარო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობას;

6.2.2. მმართველი ჯგუფის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს ორგანიზაციის რეგისტრირებული წევრი და აირჩეს წევრთა საერთო კრების მიერ, ხმათა უბრალო უმრავლესობის პრინციპით;

6.2.3. მმართველი ჯგუფი ახორციელებს ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვას, სტრატეგიული მიმართულებებისა და დაფინანსების წყაროების მოძიების საქმიანობების განსაზღვრას; წევრთა საერთო კრებასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშავებს წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმას; ამტკიცებს ადმინისტრაციულ პოზიციებზე თანამშრომლების კანდიდატურას და ახდენს ფინანსური ოპერაციებისა და ადმინისტრაციული პროცედურების დაცვის კონტროლს; მინიმუმ 1 (ერთი) წელიწადში ერთხელ, წევრთა საერთო კრებას აბარებს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ, ხოლო დამფუძნებელს - ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შემთხვევაში; იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის სხვადასხვა ქსელსა და კოალიციაში გაწევრიანების შესახებ; საჭიროების შემთხვევაში ეხმარება აღმასრულებელ დირექტორს საზოგადოებასთან ურთიერთობისა თუ სხვა კონკრეტული აქტივობების განხორციელებაში. მმართველი ჯგუფის სამუშაო შეხვედრები იმართება მინიმუმ 3 (სამი) თვეში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა აღმასრულებელი დირექტორის მიერ, შეუზღუდავი რაოდენობით.

6.2.4. მმართველი ჯგუფის სრული შემადგენლობის ან რომელიმე წევრის ვადამდე გადაყენება შესაძლებელია, თუ:

- მმართველი ჯგუფი/კონკრეტული წევრი არ არსულებს წევრთა საერთო კრების წინაშე წარდგენილ გეგმას, ან ასრულებს არაეფექტურად (40% და ნაკლები გაწერილი საქმიანობებიდან)
- არ მონაწილეობს ორგანიზაციის საქმიანობაში 6 (ექვსი) თვის განმავლობაში
- არ ესწრება მმართველი ჯგუფის სამუშაო შეხვედრებს 6 (ექვსი) თვის განმავლობაში (გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც წევრი დროებით საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება და არ გააჩნია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება)
- მისი ქცევა ან განცხადებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს და ღირებულებებს ან ზიანს აყენებს ორგანიზაციის ღირსებას და ავტორიტეტს
- ბოროტად იყენებს (არამიზნობრივად, პირადი ინტერესების შესაბამისად) ორგანიზაციის ქონებას, გავლენას და ავტორიტეტს.

6.2.5. მმართველი ჯგუფის/მისი წევრის გადაყენების საკითხის დღის წესრიგში დაყენება შეუძლია, როგორც აღმასრულებელ დირექტორს და დამფუძნებელს, ასევე, ორგანიზაციის 10 (ათი) წევრს ერთობლივად. საკითხის ინიციატორმა წერილობით უნდა დაასაბუთოს 6.2.4. პუნქტში გათვალისწინებული გარემოებების დადგომა.

6.2.6. მმართველი ჯგუფის/მისი წევრის ვადამდე ადრე გადაყენების საკითხს განიხილავს წევრთა საერთო კრება, ხელმძღვანელობს რა, ინიციატორის მიერ წარმოდგენილი წერილობითი გარემოებებითა და მმართველი ჯგუფის/წევრის წერილობითი და ზეპირი განმარტებებით. წევრთა საერთო კრება მმართველი ჯგუფის/მისი წევრის ვადამდე ადრე გადაყენების საკითხს გადაწყვეტს ხმათა უბრალო უმრავლესობით, წერილობითი დასაბუთებითა და განსაკუთრებული აზრის დაფიქსირების აუცილებლობის პრინციპით.

6.2.7. წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება მმართველი ჯგუფის/მისი წევრის ვადამდე ადრე გადაყენების შესახებ, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, ან დავა მოგვარდეს საარბიტრაჟო/მედიაციის გზით.

6.3. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი:

6.3.1. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი (გარდა იმ საკითხებისა, რომელიც შედის მმართველი ჯგუფისა და წევრთა საერთო კრების კომპეტენციაში), რომლის კანდიდატურაც სახელდება წევრთა საერთო კრების მიერ და აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით.

6.3.2. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ერთპიროვნულად ასრულებს დამფუძნებელი, ორგანიზაციაში სხვა წევრების მიღებამდე

6.3.3 დაუშვებელია აღმასრულებელი დირექტორი იმავდროულად იყოს მმართველის ჯგუფის წევრი

6.3.4. აღმასრულებელი დირექტორი წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას წესდებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად და ხელმძღვანელობს მმართველი ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამული გეგმისა და წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით.

6.3.5. მმართველ ჯგუფს წარუდგენს ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასამტკიცებელ კანდიდატებს (ფინანსური კოორდინატორი, ადმინისტრაციული თანაშემწე და ა.შ.), ერთპიროვნულად ზედამხედველობს ორგანიზაციის მატერიალური და არამატერიალური ქონების მართვას (შეძენა, სამეურნეო საკითხები) და მმართველი ჯგუფის წერილობითი თანხმობის საფუძველზე (უბრალო უმრავლესობით) ახორციელებს საკუთრების გასხვისებას ამ წესდების 3.3 მუხლის შესაბამისად.

6.3.6. ხელს აწერს ყველა ოფიციალურ ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ დოკუმენტს და ანგარიშვალდებულია მმართველი ჯგუფისა და დამფუძნებლის წინაშე.

6.3.7. აღმასრულებელი დირექტორი შეიმუშავებს წესდებაში ცვლილებებს და დამატებებს და წარუდგენს წევრთა საერთო კრებას დასამტკიცებლად.

6.3.8 აღმასრულებელი დირექტორი ახდენს საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეზე, შიდა ბრძანების საფუძველზე.

6.3.9. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ვადამდე გადაყენება შესაძლებელია თუ:

- არ ასრულებს წევრთა საერთო კრების და მმართველი ჯგუფის წინაშე წარდგენილ გეგმას, ან ასრულებს არაეფექტურად (40% და ნაკლები გაწერილი საქმიანობებიდან)
- არ მონაწილეობს ორგანიზაციის საქმიანობაში 3 (სამი) თვის განმავლობაში

- არ ესწრება მმართველი ჯგუფის სამუშაო შეხვედრებს 3 (სამი) თვის განმავლობაში (გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც დროებით საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება და არ გააჩნია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება)
- მისი ქცევა ან განცხადებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს და ღირებულებებს ან ზიანს აყენებს ორგანიზაციის ღირსებას და ავტორიტეტს
- ბოროტად იყენებს (არამიზნობრივად, პირადი ინტერესების შესაბამისად) ორგანიზაციის მატერიალურ და არამატერიალურ ქონებას,ფულად სახსრებს, გავლენას და ავტორიტეტს.

6.3.10. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის გადაყენების საკითხის დღის წესრიგში დაყენება შეუძლია, როგორც მმართველ ჯგუფს და დამფუძნებელს, ასევე წევრთა საერთო კრების მინიმუმ 10 (ათი) წევრს. საკითხის ინიციატორმა წერილობით უნდა დაასაბუთოს 6.3.9 პუნქტში გათვალისწინებული გარემოებების დადგომა.

6.3.11. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ვადამდე ადრე გადაყენების საკითხს განიხილავს წევრთა საერთო კრება, ხელმძღვანელობს რა, ინიციატორის მიერ წარმოდგენილი წერილობითი გარემოებებითა და აღმასრულებელი დირექტორის წერილობითი და ზეპირი განმარტებებით. წევრთა საერთო კრება აღმასრულებელი დირექტორის ვადამდე ადრე გადაყენების საკითხს გადაწყვეტს ხმათა უბრალო უმრავლესობით, წერილობითი დასაბუთებითა და განსაკუთრებული აზრის დაფიქსირების აუცილებლობის პრინციპით.

6.3.12 წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება აღმასრულებელი დირექტორის ვადამდე ადრე გადაყენების შესახებ, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში ან მოგვარდეს საარბიტრაჟო წესით

მუხლი 7

წევრთა უფლებები და მოვალეობები

7.1. ორგანიზაციის წევრად მიღება ხორციელდება განაცხადის საფუძველზე, რომელიც წარედგინება გადაწყვეტილების მისაღებად დამფუძნებელს ან დამფუძნებელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ უფლების დელეგირება აღმასრულებელი დირექტორისათვის.

7.2. ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს პირი 18 (თვრამეტი) წლის ასაკიდან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოში რეგისტრირებული თუ საერთაშორისო იურიდიული პირი, რომელიც გამოთქვამს დაინტერესებას ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის განვითარებაში შეიტანოს წვლილი და გაერთიანდეს წევრთა საერთო კრების თემატურ სამუშაო ჯგუფებში. გამონაკლისი ასაკობრივ შეზღუდვაზე დაიშვება ახალგაზრდული ინიციატივების ჯგუფის წევრობის მსურველთა მიმართ და მინიმალური ასაკი განისაზღვრება 12 (თორმეტი) წლით (ხმის უფლების შეზღუდვით წევრთა საერთო კრებაზე).

7.3. ორგანიზაციის წევრობის დატოვება შესაძლებელია, წევრის მიერ აღმასრულებელი დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე.

7.4. წევრობის შეჩერება ან ჩამორთმევა შესაძლებელია მმართველი ჯგუფის ან წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე თუ წევრი:

1. არ მონაწილეობს ორგანიზაციის საქმიანობაში 6 (ექვსი) თვის განმავლობაში
2. არ ესწრება წევრთა საერთო კრებებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში
3. მისი ქცევა ან განცხადებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს და ღირებულებებს ან ზიანს აყენებს ორგანიზაციის ღირსებას და ავტორიტეტს
4. ბოროტად იყენებს (არამიზნობრივად, პირადი ინტერესების შესაბამისად) ორგანიზაციის ქონებას, გავლენას და ავტორიტეტს.

7.5. ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საქმიანობაში, წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, არჩეულ იყოს და აირჩიოს მმართველი ჯგუფი და აღმასრულებელი დირექტორი, მოითხოვოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

7.6. ორგანიზაციის წევრი ვალდებულია: მონაწილეობა მიიღოს წევრთა საერთო კრებებში და კრების საქმიანობაში, ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს მხოლოდ ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების და წევრის უფლება-მოვალეობების შესაბამისად, პატივი სცეს ორგანიზაციის ღირებულებებს და ზიანი არ მიაყენოს მის ავტორიტეტს.

მუხლი 8
დროებითი ორგანოები

8.1. პროექტების შეფასების კომისია

8.1.1. პროექტების შეფასების კომისია წარმოადგენს ორგანიზაციის დროებით ორგანოს, რომელიც შესაძლოა აირჩეულ იქნას საგრანტო კონკურსის ორგანიზების საჭიროების შემთხვევაში

8.1.2. პროექტების შეფასების კომისიის წევრად შესაძლებელია არჩეულ იქნას ორგანიზაციის ნებისმიერ წევრი, გარდა აღმასრულებელი დირექტორისა

8.1.3. პროექტების შეფასების კომისიის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის 10%-ს

8.1.4. პროექტების შეფასების კომისიის წევრის დასახელება და არჩევა ხდება ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების მიერ, საგრანტო კონკურსის ორგანიზების საჭიროების დადგომისას, ერთჯერადად

8.1.5. პროექტების შეფასების კომისიის შემადგენლობაში უნდა იყოს დაცული ბალანსი ბიზნეს, სამოქალაქო და საჯარო სექტორების წარმომადგელობას შორის

8.1.6. პროექტების შეფასების კომისიის წევრი ვალდებულია გაიაროს ტრენინგი პროექტების შეფასების შესახებ და განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესახებ

8.1.7. პროექტების შეფასების კომისიის წევრობის დატოვება შესაძლებელია წევრის მიერ აღმასრულებელი დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე.

8.1.8. პროექტების შეფასების კომისიის წევრს შესაძლოა უფლებამოსილება შეუჩერდეს, თუ:

- არ იღებს მონაწილეობას ტრენინგებში
- არ განაცხადებს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ
- იქნება მიკერძოებული ან/და არაკეთილსინდისიერ შეთანხმებებს აწარმოებს პროექტის ავტორთან
- მისი ქცევა ან განცხადებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს და ღირებულებებს ან ზიანს აყენებს ორგანიზაციის ღირსებას და ავტორიტეტს
- ბოროტად იყენებს (არამიზნობრივად, პირადი ინტერესების შესაბამისად) ორგანიზაციის ქონებას, გავლენას და ავტორიტეტს.

8.1.9. პროექტების შეფასების კომისიის წევრის უფლებამოსილების შეჩერების საკითხის დაყენება მმართველი ჯგუფის ან წევრთა საერთო კრების წინაშე შეუძლია აღმასრულებელ დირექტორსა და დამფუძნებელს

8.1.10. პროექტების შეფასების კომისიის წევრების უფლებამოსილების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 9
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. ორგანიზაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, წესდებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გარემოებების შედეგად.

9.2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს

9.3. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

9.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება

9.5. მუხლში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, ორგანიზაციის ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

ბ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

გ) გასხვისება ხელს უწყობს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

9.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

9.7. თუ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ორგანიზაციას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ.

9.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი - აღმასრულებელი დირექტორი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

9.9. ორგანიზაცია წყვეტს არსებობას და ითვლება გაუქმებულად სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის მომენტიდან.

მუხლი 10
დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის ან წევრთა საერთო კრების მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
10.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
10.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედებს კანონი.
10.4. ორგანიზაციის ოფიციალური და სამუშაო ენაა - ქართული ენა.
10.5. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო პირთა რეესტრში რეგიისტრაციის მომენტიდან.

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი) / (ხელმოწერა) /